საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/75 " 17 " ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

რ. ტყეშელაშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, რომეო ტყეშელაშვილი 2021 წლის 18 ივნისიდან გამწესდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დასაბუთება

რომეო ტყეშელაშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 22 თებერვლის №1/6 განკარგულებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის 8 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2021 წლის 23 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 18 კანდიდატი.

მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის რომეო ტყეშელაშვილზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 2021 წლის 29 მარტს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

რომეო ტყეშელაშვილს აქვს სპეციალობით მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება. 2016-2019 წლებში იგი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე.

რომეო ტყეშელაშვილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-15 ჯგუფის კურსდამთავრებულია.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, რომეო ტყეშელაშვილმა წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირებისა და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. კანდიდატი იყო დისციპლინირებული მსმენელი.

სკოლაში სწავლის პერიოდში მას არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ რომეო ტყეშელაშვილს გაესაუბრნენ 2021 წლის 3 ივნისს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2021 წლის 7 ივნისიდან 11 ივნისამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12-მა წევრმა კანდიდატი რომეო ტყეშელაშვილი შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

რომეო ტყეშელაშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა 11-მა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს, ხოლო ერთმა წევრმა მიიჩნია, რომ აკმაყოფილებს.

საბჭოს წევრთა მიერ რომეო ტყეშელაშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1016 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 84.67%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2021 წლის 17 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის მე-5 ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 12-მა წევრმა მიიღო, რომეო ტყეშელაშვილმა მოიპოვა 11 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 12 კანდიდატი, მათგან 4 მოქმედი პირველი ინსტანციის მოსამართლე, 2 ყოფილი მოსამართლე და 6 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ბებია ეკატერინე - 0 ხმა
2. ბიჭია შოთა - 1 ხმა
3. გიორგაშვილი სანდრო - 0 ხმა
4. კაპანაძე თორნიკე - 0 ხმა
5. ლობჟანიძე გიორგი - 0 ხმა
6. მაისურაძე მადონა - 0 ხმა
7. მაკარაძე დავით - 0 ხმა
8. ტყეშელაშვილი რომეო - 11 ხმა
9. ყოლბაია ლევან - 0 ხმა
10. შკუბულიანი ლელა - 0 ხმა
11. ჭილაია კოტე - 0 ხმა
12. ხარჩილავა ხათუნა - 0 ხმა.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატ რომეო ტყეშელაშვილის კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა კანდიდატებთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესდა რომეო ტყეშელაშვილი.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი